პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 156 (9817)
12 აგვისტო, შაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.



როგორც ვიუწყებოდით, 9 აგვისტოს, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმო ვითარებაში შეაჯამეს საქართველოს IX სპარტაკიადის შედეგები და დააჯილდოვეს გამარჯვებული კოლექტივები. შეხვედრა დასამახსოვრებელი იყო იმითაც, რომ ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ ჩვენი სახელოვანი ვეტერანები, რომელთა მოღვაწეობითაც იქმნებოდა საქართველოში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორია. სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, წინა პლანზე სწორედ ჩვენი ღვაწლმოსილი ვეტერანები არიან აღბეჭდილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# პირველი წრე მინიმალური დანაკლისით

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი დავით კაკაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

ერთდღიანი შესვენების შემდეგ დაიწყო ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო პირადი ტურნირი. ვაჟთა და ქალთა ერთეულების თანრიგში ყოველ რესპუბლიკას 4-4 მონაწილის გამოყვანის უფლება აქვს, წყვილთა შორის კი ორ-ორი დუეტისა.

საქართველოს ჩოგბურთელებმა პირველი წრე წარმატებით განვლეს — ყველა შეხვედრა მოიგეს ორის გარდა. მეორე წრეში კი ვაჟებს ბალტიისპირეთის ჩოგბურთელთა სახით ძლიერი კონკურენტები ეყოლებათ.

გთავაზობთ სასტარტო შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობით: ვაჟთა ერთეულები (ოცდამეთორმეტედფინალი): კაჭარავა (საქართველო) — გორბუნოვი (ლენინგრადი) 6:2, 6:4, მეტრეველი (საქართველო) — ტამბოვსკი (აზერბაიჯანი) 6:1, 6:1, ხურდა (საქართველო) — ბაშტი (აზერბაიჯანი) 6:0, 6:0. გაბრიჩიძე უბრძოლველად იქნა დაშვებული მეთექვსმეტედფინალში.

ქალთა ერთეულები (ოცდამეთორმეტედფინალი): მალაციძე (საქართველო) — ლევინა (რუსეთის ფედერაცია) 6:1, 6:2, თოხაძე (საქართველო) — კლეპიკი (ყაზახეთი) 2:6, 0:6, გერაძე (საქართველო) — იალალოვა (უზბეკეთი) 3:6, 2:6, მესხი უბრძოლველად არის დაშვებული მეთექვსმეტედფინალში.

ვაჟთა წყვილები (მეთექვსმეტედფინალი): გაბრიჩიძე და კაჭარავა — ოსტრობოროდოვი და გუქაცინი (ყაზახეთი) 6:4, 6:2, ხურდა და დ. კვარაცხელია — ფედოვი და სპიჩკინი (ლენინგრადი) 6:2, 7:5.

ქალთა წყვილები (მეთექვსმეტედფინალი): ბოკუჩავა და გერაძე — კლეპიკი და იუსუპოვა (ყაზახეთი) 7:5, 6:3. მალაციძე და მესხი უბრძოლველად არიან დაშვებული მერვედფინალში.

შერეული წყვილები (მეთექვსმეტედფინალი): მალაციძე და ხურდა — ასტაფიევა და ტიურინი (ტაჯიკეთი) 6:1, 6:2. მესხი და გაბრიჩიძე უბრძოლველად არიან დაშვებული მერვედფინალში.

ამრიგად, პირველი ტურის ათი შეხვედრიდან საქართველოს ჩოგბურთელებმა რვა მოიგეს და მხოლოდ ორი დათმეს. ბრძოლას მეორე წრეში თორმეტი ჩოგბურთელი განაგრძობს.

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ** მოსკოვში ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირზე შედგა მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. მეტრეველმა აჯობა ესტონელ ოიასალუს — 7:6, 6:4. გაბრიჩიძემ დაამარცხა ლატვიელი ფელდმანისი — 6:2, 6:4, კაჭარავამ წააგო ფელდმანისის თანაგუნდელ კრესლიშთან — 2:6, 2:6, ხოლო ხურდამ — ესტონელ რიატსეპთან — 4:6, 2:6. ქალთა შორის მალაციძემ სძლია ფომინჩიკს (ბელორუსია) — 6:3, 6:1, მესხმა მოუგო მიტროფანოვას (მოლდავეთი) — 6:4, 7:4. წყვილთა შეჯიბრება გვიან დამთავრდა. დღეს გაიმართება მერვედფინალური შეხვედრები. ლეილა მესხი ლენინგრადელ ივანოვას ხვდება, ირინე მალაციძე — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, მოსკოველ ბიკოვას, ირაკლი მეტრეველსაც საკავშირო ნაკრების წევრთან, უკრაინელ დოლგოპოლოვთან მოუხდება ბრძოლა, ხოლო გაბრიჩიძის მეტოქე კრესლიში იქნება.

### საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი

# ლიდერებმა პოზიციები განიმტკიცეს

**ქუთაისი, 11 აგვისტო (ტელეფონით, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).** სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის IV ტურში ნატალია ალიოხინამ (მოსკოვის ოლქი) დაამარცხა მინსკელი ოლგა ლომაკინა, გალინა სტრუტინსკაიამ (მოსკოვი) სძლია ჰენრიეტა ლაგვილავას (ქუთაისი), მზია წერეთელმა (მახარაძე) — ლოლა ნასიროვას (დუშანბე).

როგორც იცით, ყოველი ოთხი ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი გადადებულ პარტიებს ამთავრებენ. და აი, 10 აგვისტოსთვის თორმეტი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია დაგროვდა, რომელთა შედეგებმა ამ ეტაპისთვის მეტ-ნაკლებად გამოკვეთეს ლიდერთა და აუტსაიდერთა პოზიციები. მათ, ვინც სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა, ახლაც ტურნირის სათავეში ვხედავთ.

აი, ასე დამთავრდა გადადებული პარტიები: **I ტური** — ირინა კულიში (კრასნოიარსკი) — სტრუტინსკაია 0:1, ქეთევან მელაშვილი (თბილისი) — დიანა ეშჩენკო (ვლადივოსტოკი) 0:1, ელენა ფათალიბეკოვა (მოსკოვი) — ლომაკინა 1:0, ლაგვილავა — ირინა ბოტვინიკი (მინსკი) 1:0, ფლორა უსკოვა (ალმა-ათა)—ალიოხინა 0,5:0,5; **II ტური** — სტრუტინსკაია — მელაშვილი 0,5:0,5, ელენა სედინა (კიევი) — კულიში 0,5:0,5; **III ტური** — კულიში — ქეთევან არახამია (თბილისი) 0:1, მელაშვილი — სედინა 0:1; **IV ტური** — ეშჩენკო — ბოტვინიკი 0,5:0,5, სედინა — ფათალიბეკოვა 0,5:0,5, არახამია — მელაშვილი 0,5:0,5. უსკოვა — კულიშის პარტია არ დამთავრებულა.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ ალიოხინა და სედინა. 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს უსკოვას. არახამიამ, წერეთელმა და ლაგვილავამ 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს. მელაშვილს 1 ქულა აქვს.

**თამაზ ხარაბაძე.**

# ისევ ხაბელოვი, გოგოლიშვილი...

**8-10 აგვისტოს** ცხინვალის სტადიონზე ჩატარდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრები. მეორე ადგილზე გავიდნენ მოსკოვის საჰაერო თავდაცვის ჯარების წარმომადგენლები, მესამეზე — ციმბირის სამხედრო ოლქის სპორტსმენები.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს ქართველმა ფალავნებმა. ჩემპიონები გახდნენ ლერი ხაბელოვი (100 კგ), ავთანდილ გოგოლიშვილი (82), დავით ხურცია (74), მეორე ადგილები დაიკავეს ზურაბ ტატუაშვილმა (52), გია ქენქაძემ (68) და ზაზა თურმანიძემ (130).

**ლეილა სუხელიანი,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
ცხინვალი.

# მშვიდობის მარათონი

**მოსკოვი.** ამ მარათონული შეჯიბრების ტრასა ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წინ გაიკვალა, მას შემდეგ აქ ბევრი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა, რომელთა შორის უმთავრესი, ცხადია, ოლიმპიური ასპარეზობა იყო.

...ამ დღეებში ტრასაზე კვლავ უჩვეულო გამოცოცხლება იყო. მაყურებლები ინტერესით ადევნებდნენ თვალს მშვიდობის საერთაშორისო მარათონს, რომელშიც 17 ქვეყნის 3 ათასზე მეტი მონაწილე გამოდიოდა.

ვაჟებში გამარჯვება კუიბიშეველმა ივანე ბოგდანოვმა მოიპოვა. დისტანცია მან 2:24. 37-ში დაფარა. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი სვერდლოვსკელმა ანა ხაონოვამ აჩვენა — 3:04.00.

გაიმართა შეჯიბრება 10-კილომეტრიან დისტანციაზეც. პირველი ადგილები ეკვადორელმა ლაურა მენდესმა (43.48,0) და ლენინგრადელმა ვლადიმერ მანილოვმა (33.28,0) დაისაკუთრეს.

# პრიზი—კიევის „დინამოს“

**ჰოლანდიის** ქალაქ ამსტერდამში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოში აღიარებული კლუბები: „აიაქსი“ (ჰოლანდია), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „ბოტაფოგო“ (ბრაზილია) და „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი).

ტურნირში ოთხივე გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მაგრამ კიევის დინამოელებმა ბოლო მატჩი ანგარიშით 6:0 მოუგეს ბრაზილიის „ბოტაფოგოს“, საბოლოოდ მათ ყველაზე მეტი გატანილი ბურთი აღმოაჩნდათ, რამაც გუნდს პირველი ადგილი მოუტანა.

ჰოლანდიელი მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ კიეველ ფეხბურთელთა წარმატებას, რომლებმაც თამაშის მაღალი კლასი გამოავლინეს.



კვირას თბილისის იპოდრომზე ჩატარდა სტიპლ-ჩეისი. სურათზე თქვენ ხედავთ ასპარეზობის ერთ-ერთ მომენტს.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

**მონტეკატინი-ტერმე.** დამთავრდა ვაჟთა, ქალთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. საბჭოთა სპორტსმენებმა ყველაზე ბევრი (ოთხი) ოქროს მედალი მოიპოვეს. ვაჟებში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ანატოლი სტაროსტინი. ქალთა შორის პირველი ადგილი და ოქროს მედალი ასევე მოსკოველმა ირინა კისელიოვამ მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონის სახელი გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ქალთა და იუნიორთა გუნდებმა დაისაკუთრეს.

**მოსკოვში** დაიწყო მე-13 საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზზე. პირველ ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა ნაკრები ანგარიშით 58:3 (34:0) დაამარცხა, პოლონელმა რეგბისტებმა კი არგენტინის სან-ხუანის უნივერსიტეტის გუნდს აჯობეს — 29:13 (19:0).

ეს ტრადიციული ტურნირი, რომელიც ერთ წრედ ტარდება, 17 აგვისტოს დამთავრდება.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

# ვიბრძოლებთ მაღალი ადგილებისათვის

**საქართველოს** თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრებ გუნდს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისწინა მზადების გადამწყვეტი ეტაპი დაუდგა. მათ ერთ-ერთ ვარჯიშს საფარიკაო დარბაზში ჩვენი კორესპონდენტი დაესწრო. გთავაზობთ საუბარს რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან **ამირან შეროზიასთან.**

**⊙ სპარტაკიადამდე ზუსტად ერთი თვე დარჩა. როგორი განწყობილებაა გუნდში?**

— ბიჭებს საბრძოლო განწყობილება აქვთ. ტრავმირებული არავინაა.

**⊙ თუ არ ვცდები, სპარტაკიადისთვის მზადება შარშან შემოდგომაზე დაიწყო.**

— დიახ, ოქტომბერში. იანვარში საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატში მივიღეთ მონაწილეობა. იქ ვახტანგ იაგორაშვილი III ადგილზე გავიდა. თებერვალში, მინსკში, საკავშირო თასისთვის ვიბრძოლეთ. იაგორაშვილი უძლიერესი იყო, გუნდმა კი IV ადგილი დაიკავა. საერთოდ, წლეულს ბევრ სერიოზულ წარმატებას მივაღწიეთ. კარგად გამოვედით რიგის, ტალინის, ალმა-ათის, ერევნის საერთაშორისო ტურნირებში. ამას წინათ ვეწვიეთ ბულგარეთს, სადაც საქართველოს ნაკრები ჩვენი ქვეყნის სახელით გამოდიოდა. III ადგილს დავჯერდით. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ იაგორაშვილი, იგორ ბრიზგალოვი და რევაზ ლოხიშვილი. ვფიქრობ, საზღვარგარეთის 11 ძლიერ გუნდთან პაექრობაში მიღწეული ეს შედეგი ურიგო არ უნდა იყოს.

**⊙ მზადებისას სიძნელეები ხომ არ გქონდათ, ან ახლა თუ გიშლით რამე ხელს?**

— ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ვემზადებოდით. მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენს ღვაწლმოსილ ექიმს ქალბატონ ვენერა საკანდელიძეს, რომელიც წუთით არ გვცილდება და ყველა ჩვენი ხუთჭიდელის სრული სამედიცინო დოსიე აქვს შედგენილი.

დაბრკოლებები არა გვქონიამეთქი, გითხარით, მაგრამ აბა, იმაზე მეტი ხელისშემშლელი პირობები რა შეიძლება იყოს, რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუნდები რომ გამოდიან და, საერთოდ, როცა რესპუბლიკაში თითზე ჩამოსათვლელი ხუთჭიდელები გვყავს. აგერ, სულ ერთი წელია, რაც ქუთაისელებმა გამოიღეს ხელი, თორემ აქამდე თანამედროვე ხუთჭიდი მხოლოდ „დედაქალაქელთა სახეობა" იყო. არადა, მეტოქეობის გარეშე როგორ გინდა კარგი სპორტსმენი გაზარდო. ასეთ დროს სულ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე უნდა იფიქრო. ჩვენ კი მსგავს ტურნირებში გამოსვლის საშუალება არცთუ ისე ხშირად გვეძლევა. მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ვახტანგ იაგორაშვილისა და იგორ ბრიზგალოვის წარმატებებით მოხიბლულნი უკვე სერიოზულად გვიყურებენ, თორემ ამდენ საერთაშორისო ტურნირს ვინ გვაღირსებდა.

დაბრკოლებაა ისიც, რომ თანამედროვე ხუთჭიდელებს საკუთარი სპორტული კომპლექსი არა აქვთ. დიახ, ბაზების დაქსაქსულობა ძალზე აფერხებს გეგმაზომიერ მუშაობას.

ეს პრობლემები იმდენად ძველია, რომ უკვე გვერიდება კიდეც ამაზე ლაპარაკი. არადა, როდისმე ხომ უნდა დაადგეს ამ საქმეს საშველი!



საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა გუნდი.

თამაზ ქიქავას ფოტო.

**⊙ ახლა ის გვითხარით, სპარტაკიადაზე რომელ ადგილზე აპირებთ გასვლას?**

— ხუთეულში უნდა მოვხვდეთ.

**⊙ თქვენი მთავარი კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. პირად ჩათვლაში იაგორაშვილმა I ადგილისთვის უნდა იბრძოლოს. მას ალბათ ძირითადად იგორ შვარცი და ალექსანდრე მაკეევი გაუწევენ წინააღმდეგობას.

**⊙ დღევანდელ ვარჯიშზე ბევრ ხალხს ვხედავ. საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ დაგიდგენიათ?**

— არა, ჯერ არ შეგვიკრავს კოლექტივი. ვახტანგ იაგორაშვილის გარდა გუნდში მოხვედრის შანსები აქვთ იური ვერბიცკის, დიმიტრი გორდიენკოს, რევაზ ლოხიშვილს, ანდრეი მიასიჩევს, დიმიტრი იაკოვლევს, მიხეილ კორინთელსა და ვალერი სიროტკინს. სწორედ მათ შორის შევარჩევთ იმ ოთხ ხუთჭიდელს, ვისაც საქართველოს სპორტული დელეგაციის ღირსების დაცვა მოუწევს ტალინში. ასაკობრივი ცენზის გამო სპარტაკიადაზე 1963 წელსა და უფრო გვიან დაბადებული ხუთჭიდელები დაიშვებიან და ამიტომ, სამწუხაროდ, ბალტიისპირეთში ბრიზგალოვის გარეშე მოგვიწევს წასვლა.

**⊙ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მწვრთნელებიდან ვინ გეხმარებოდათ?**

— ივანე ლუცენკო, თენგიზ ჯეჯელავა, ნოდარ ალავიძე, ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, ანატოლი კრავჩენკო, ნუგზარ ჯავახიშვილი. ყველანი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები არიან.

**⊙ სპარტაკიადამდე დარჩენილ ამ ერთ თვეს სად გაატარებთ?**

— ახლა კრასნოდარში მივემგზავრებით. შეჯიბრების ორგანიზატორებმა რუსეთის ფედერაციის სპარტაკიადაზე მიგვიწვიეს. იქიდან ისევ თბილისში დავბრუნდებით და ტალინში გამგზავრებამდე აქ ვივარჯიშებთ.

ესაუბრა **დავით ჟელიძე.**

## გუნდური ადგილები

**თანამედროვე** ხუთჭიდელთა სასპარტაკიადო ტურნირებში საქართველოს სპორტსმენებს საუკეთესო შედეგი ნაჩვენები აქვთ 1983 წელს, ბოლო VIII სპარტაკიადაზე. ყველაზე სუსტად კი ისინი 1967 და 1971 წლებში გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა IV და V სპარტაკიადებში — XI ადგილები დაიკავეს.

**1956 წ. I სპარტაკიადა VII ადგილი**
**1959 წ. II სპარტაკიადა V**
**1963 წ. III სპარტაკიადა X**
**1967 წ. IV სპარტაკიადა XI**
**1971 წ. V სპარტაკიადა XI**
**1975 წ. VI სპარტაკიადა X**
**1979 წ. VII სპარტაკიადა VI**
**1983 წ. VIII სპარტაკიადა IV**

# ყველა პრიზიორი

**სპარტაკიადების** პირად ჩათვლაში ჩვენს რესპუბლიკას პრიზიორი არ ჰყოლია. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგი 1983 წელს მოიპოვეს — IV ადგილი დაიკავეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულ გუნდს (მოსკოვი) ჩვენი ხუთჭიდელები მხოლოდ 301 ქულით ჩამორჩნენ. საქართველოს ნაკრებზე უკეთესი შედეგი ამ წელს მოსკოვის გუნდის გარდა რუსეთის ფედერაციისა და ყირგიზეთის წარმომადგენლებმა აჩვენეს.

VIII სპარტაკიადის პირად ჩათვლაში ჩვენი გუნდის წევრი ი. ბრიზგალოვი მეექვსე იყო (5277 ქულა), დ. გრიგორი კი — მეშვიდე (5271 ქულა).

# თბილისის დიდი სტიპლ-ჩეისი



**სტიპლ-ჩეისი** საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი ურთულესი და ულამაზესი სახეობაა, რომელსაც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ჩვენს ქვეყანაშიც მრავლად ჰყავს თაყვანისმცემლები. საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში სისტემატურად იმართება ასპარეზობები ამ სახეობაში. მსგავსი შეჯიბრებები თბილისშიც ტარდებოდა, მაგრამ, აგერ უკვე ოც წელიწადზე მეტია, საცხენოსნო სპორტის მოყვარულთ არ ჰქონიათ შესაძლებლობა, ეხილათ ეს სანახაობა. და აი, კვირას, 10 აგვისტოს, თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართა „თბილისის დიდი სტიპლ-ჩეისი". იპოდრომის მესვეურებმა (დირექტორი მ. ტატიშვილი) საკმაოდ მცირე დროში მოაწყვეს ტრასა, რომელმაც პირველად საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

მხედრებს უნდა დაეფარათ 4000-მეტრიანი დისტანცია, რომელზეც 12 წინაღობა იყო განლაგებული. აქვე ვიტყვით, რომ საკმაოდ რთული ტრასის დამთავრება, როგორც საერთოდ ხდება, ყველა მხედარმა ვერ მოახერხა. ბრძოლა, რომელიც ძალზე საინტერესოდ წარიმართა, მოიგო და „თბილისის დიდი სტიპლ-ჩეისის" პრიზი დაისაკუთრა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპეციალიზებული სპორტული სკოლის წარმომადგენელმა ვიქტორ აივაზაშვილმა. მან თავისი განგათი დისტანციის გავლას 5 წუთი და 16 წამი მოანდომა. მეორე და მეოთხე ადგილებიც ამავე სპორტსკოლის აღსაზრდელებს გ. ლოლობერიძეს (სევანი, 5.1.,ჩ წმ) და ზ. გონჯილაშვილს (ხაპება, 5.31 წმ) ხვდათ. მესამე ადგილი დაიკავა სომეხმა მხედარმა გ. აკოფიანმა ცხენ ვოლეიბოლით (5 წუთი და 22 წამი, ერევნის საცხენოსნო სპორტული სკოლა).

იმედია, რომ ასპარეზობა, რომელიც ამჟამად ჩატარდა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე, ტრადიციად იქცევა და მომავალში „თბილისის დიდი სტიპლ-ჩეისის" გათამაშებაში სხვა მოძმე რესპუბლიკების მხედრებიც მიიღებენ მონაწილეობას.



# ფიზკულტურელის დღეს...

**აგვისტოს** დასაწყისში ქუთაისში ტრადიციულად ეწყობა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კვირეული. ასე იყო ამჯერადაც. 4-10 აგვისტოს ქალაქის სპორტულ ბაზებზე ბევრი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა. კვირეულის მთავარ აკორდად იქცა 9 აგვისტოს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გამართული ასპარეზობები. საზეიმო აღლუმში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ფიზკულტურული კოლექტივების 1500-მდე წევრი. აქვე იყვნენ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ტურნირის მონაწილეები, მოსკოვის რეგბისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები, სტუდენტთა შრომითი ბრიგადების წარმომადგენლები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.

მასობრივი შეჯიბრებები მოეწყო სპორტის რამდენიმე სახეობაში. ტურისტულ მრავალჭიდში თავი გამოიჩინეს ავტოქარხნის, პურკომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმა, ფეხბურთში ყველას სტუდენტური შრომითი რაზმების ნაკრებმა გუნდმა აჯობა.

შემდეგ ზეიმი პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გაგრძელდა. აქ, ნახევრხმოყრილ სარბიელზე ავტოქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას" ინიციატივით პირველად ჩატარდა ქალაქის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. უძლიერესის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა მწვრთნელმა ვიტალი გაბუნიამ.

აღსანიშნავია, რომ კვირეულის დღეებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით რამდენიმე ფასიანი გამაჯანსაღებელი კლუბი გაიხსნა ავტოქარხანაში. ბამბისა და აბრეშუმის საწარმოო კომბინატებში, ელექტრომექანიკურ ქარხანაში გამაჯანსაღებელი კლუბები თანამედროვე იარაღ-დანადგარებით აღიჭურვა.

**სოხუმში** ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ზეიმის დაწყების მაცნენი მძლეოსნური ესტაფეტების მონაწილენი იყვნენ. მათ ქალაქის სხვადასხვა უბნებში აიღეს სტარტი და დილიდანვე გამოაცოცხლეს ქალაქი. მალე კორტები, აუზი და სანაპიროც ახმაურდა. განსაკუთრებული ხალხმრავლობა და ჟრიამული, ცხადია, სანაპიროზე იყო — ზეიმის მონაწილეებს დამსვენებლებიც შეუერთდნენ. საღამოს გაიმართა ეშერაში შეკრებაზე მყოფი საბჭოთა კავშირის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა და სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრთა საჩვენებელი გამოსვლები, დასასრულს, რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა ვიტალი დარასელიას სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში.



ამ სურათზე კი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში გამართული სპორტული ზეიმის ერთ-ერთი მომენტია ასახული. წერილს ამ ზეიმის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

# I ლიგა

**9 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVII ტურის მატჩები.**

**„დინამო“ (ბათუმი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0 (0:0)**

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 9 აგვისტო.

**„დინამო“:** მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია (მენაბდე), გოგილაძე, მაისურაძე.

**ასკ „კარპატი“:** რახულოვი, გამალიი, ბუნიაკი, ბონდარენკო, პასეჩნიკი, კოგუტი, რაფალჩუკი (ტიშჩენკო), ვოიტიუკი, კუზლევსკი, ლენდელი, მალიშენკო.

მსაჯი ლ. სერდიუკოვი (სარატოვი).

ლვოველი ფეხბურთელები ბათუმის „დინამოზე“ წინ არიან გათამაშების ცხრილში, ამიტომ მასპინძლებს საკუთარ მინდორზე ძალების დაძაბვით უნდა ეთამაშათ მეტოქის დასაწევად. მატჩი, მართლაც, უკიდურესად მწვავე ბრძოლაში ჩატარდა, ორივე გუნდმა დასაწყისშივე შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ვერ შეძლო მათი გამოყენება, განსაკუთრებით კარგად ითამაშა კარპატელთა მეკარემ რასულოვმა.

სწრაფი ტემპი და დაძაბულობა არც მეორე ტაიმში დამცხრალა, მეტოქეები თავგამოდებით იბრძოდნენ წარმატებისთვის და მატჩის ბედი მხოლოდ 65-ე წუთზე გადაწყდა, როცა ანდღულაძემ მინდვრის სიღრმიდან წამოიწყო შეტევა, ბურთი კიკლიაშვილს გადასცა და ამ უკანასკნელმაც ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ამავე დღეს ლანჩხუთის „გურია“ სმოლენსკში შეხვდა ადგილობრივ „ისკრას“. თამაში დამთავრდა სმოლენსკელთა გამარჯვებით — 1:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (ხაბაროვსკი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 4:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:2, ასკ (დონის როსტოვი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 2:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) „დინამო“ (სტავროპოლი) 1:4.

**დღეს შედგება I ლიგის გუნდების მორიგი ტურის მატჩები. ბათუმის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ კიშინიოვის „ნისტრუს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ იაროსლავლში შეხვდება ადგილობრივ „შინიკს“.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 25 | 18 | 5 | 2 | 60-24 | 41 |
| „გურია“ | 26 | 15 | 4 | 7 | 38-30 | 34 |
| ცსკა | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 33 |
| „პამირი“ | 26 | 12 | 9 | 5 | 38-24 | 33 |
| ასკ „კარ.“ | 26 | 12 | 7 | 7 | 42-26 | 31 |
| „როსტ.“ | 26 | 11 | 9 | 6 | 45-36 | 31 |
| „როტორი“ | 26 | 14 | 2 | 10 | 40-29 | 30 |
| „შინიკი“ | 26 | 12 | 6 | 8 | 23-17 | 30 |
| „დინამო“ ბ. | 26 | 12 | 5 | 9 | 29-30 | 29 |
| „ლოკომ.“ | 26 | 10 | 8 | 8 | 35-28 | 28 |
| „კოლოსი“ | 25 | 10 | 7 | 8 | 27-29 | 27 |
| „ფახთაქ.“ | 26 | 11 | 4 | 11 | 33-41 | 26 |
| ასკ რ. | 26 | 9 | 6 | 11 | 28-30 | 24 |
| „ფაკელი“ | 26 | 9 | 6 | 11 | 25-27 | 24 |
| „სპარტაკი“ | 26 | 8 | 8 | 10 | 38-37 | 24 |
| „მეტალურ.“ | 25 | 9 | 5 | 11 | 33-31 | 23 |
| „კოტაიკი“ | 26 | 7 | 9 | 10 | 22-25 | 23 |
| „ყუბანი“ | 26 | 6 | 10 | 10 | 21-27 | 22 |
| „დინ.“ სტ. | 26 | 5 | 12 | 9 | 29-31 | 22 |
| „ისკრა“ | 26 | 7 | 6 | 13 | 17-36 | 20 |
| ასკ ხ. | 27 | 6 | 7 | 14 | 30-43 | 19 |
| „კუზბასი“ | 25 | 5 | 9 | 11 | 28-40 | 19 |
| „ატლანტ.“ | 25 | 5 | 6 | 14 | 18-36 | 16 |
| „ნისტრუ“ | 26 | 3 | 5 | 18 | 16-54 | 11 |

# II ლიგა

**10 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის XVII ტურის მატჩები.**

ჩვენი რუსთაველი კორესპონდენტი **რაჟდენ ბაბრიშიძე** გვატყობინებს ადგილობრივი „მეტალურგისა“ და ოქტომბერიანის „სპარტაკის“ შეხვედრის შესახებ:

რუსთაველმა ფეხბურთელებმა წლევანდელი გათამაშების პირველი წრის მატჩები არათანაბარი სიძლიერით ჩაატარეს, მწვრთნელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს ძირითადი შემადგენლობის გამოყვანა თამაშზე და „მეტალურგმა“ რესპუბლიკის გუნდებს შორის ბოლო ადგილი დაიკავა. შემდგომში მეტალურგები უკვე საბრძოლო შემადგენლობით გამოდიოდნენ პროფკავშირების საკავშირო თასის გათამაშებაში, სადაც ნახევარფინალს მიაღწიეს, მეორე წრის პირველი მატჩი ლენინაკანში მოუგეს „შირაკს“, 10 აგვისტოს კი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ოქტომბერიანის „სპარტაკის“ ძლიერი გუნდი.

ამ მატჩში ანგარიში გახსნა უგულავამ, ტაიმის დასასრულს კი ქვანიამ და იმავე უგულავამ ანგარიში 3:0-მდე აიყვანეს. შესვენების შემდეგ სტუმრებმა (აირბაბაიანი) ერთი საპასუხო ბურთი გაიტანეს, მაგრამ მე-80 წუთზე სპარტაკელთა კარი მეოთხედ იქნა აღებული.

**„მეტალურგის“ შემადგენლობა: ზავრადაშვილი, სანიკიძე, ხურცილავა (ჭოხონელიძე), ცხადაძე, ქასრაშვილი, კილასონია, მიგინეიშვილი, კულუმბეგოვი, ავაქიანი, ქვანია, უგულავა.**

* * *

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (სოხუმი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 2:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ოლიმპია“ (აშტარაკი) 1:0, „დილა“ (გორი) — „გიანჯლიკი“ (ბაქო) 2:0, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 0:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 6:1.

# უმაღლესი ლიგის გუნდი — „შეჭირვებული“?

**სპორტის** განვითარების თანამედროვე დონე სპორტსმენის ორგანიზმს სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს უყენებს. მაღალი ენერგოხარჯვის ფონზე რეგულარული სპორტული წვრთნა წარმოუდგენელია სათანადო რეჟიმის გარეშე, ფეხბურთი კი სწორედ ის სახეობაა, რომელიც სპორტსმენისგან მოითხოვს მთელი წლის განმავლობაში მაღალი გაწვრთნილობის დონის შენარჩუნებას.

მაღალი გაწვრთნილობის მისაღწევად აუცილებელი პირობაა მწვრთნელის, ექიმისა და ფსიქოლოგის ერთობლივი მუშაობა სპორტსმენთან. ამასთან ეს უკანასკნელი უნდა ცხოვრობდეს და ვარჯიშობდეს ისეთ გარემოცვაში, რომელიც მას ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, შრომისუნარიანობის ამაღლებაში და საბოლოო მიზნის — მაღალი შედეგიანობის მიღწევაში. თუ აქ მოყვანილი ფაქტორებიდან სპორტსმენს ერთი მაინც აკლია, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მან შეძლოს თავის მაქსიმალურ შესაძლებლობათა გამოვლენა. და თუ რომელიმე სპორტსმენი ამას ზოგ შემთხვევაში მაინც აღწევს ერთ რომელიმე შეჯიბრებაში, მის ორგანიზმს ეს ვნებს და გარკვეულ კვალსაც აუცილებლად ტოვებს.

მას შემდეგ, რაც სპორტსმენები დღეში ორ და სამჯერად ვარჯიშზე გადავიდნენ, მით უფრო მეტად გაიზარდა მოთხოვნა მათი მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო უზრუნველყოფისადმი. ექიმის ვალია მწვრთნელს დაეხმაროს, რომ სპორტსმენმა მიაღწიოს გაწვრთნილობის მაღალ დონეს თავისი ჯანმრთელობის შენარჩუნებით. ეს ხორციელდება სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების დადგენით, რასაც ვაღწევთ სპორტსმენთა გაღრმავებული საექიმო შემოწმების საშუალებით.

ფეხბურთელებმა ასეთი შემოწმება უნდა გაიარონ წელიწადში ოთხჯერ: მოსამზადებელი პერიოდის წინ, უშუალოდ კალენდარულ შეჯიბრებათა დაწყებამდე, პირველი წრის დამთავრებისას და სეზონის ბოლოს. გარდა ამისა, რეგულარულად უნდა ტარდებოდეს სამედიცინო მეთვალყურეობა სპორტსმენზე უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრებათა პროცესში. საშეჯიბრებო და საწვრთნელი რეჟიმის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს სპორტსმენის ფიზიკური მუშაობის — უნარიანობის აღსადგენი ღონისძიებები. სპორტსმენის ენერგოხარჯვის გათვალისწინებით ყოველდღიურად უნდა შედგეს კვების მენიუ, ტრავმისა თუ დაავადების შემთხვევაში საჭირო სათანადო მკურნალობა.

ყოველივე ამას კი, რაც ზევით ვთქვით, მოკლებულია ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი — უმაღლესი ლიგის კოლექტივი. ტორპედოელთათვის ქუთაისში აშენებულია თანამედროვე საწვრთნელი ბაზა შესანიშნავი საცხოვრებლით, მაგრამ დღემდე არ იქნა, არ დამთავრდა სარეაბილიტაციო სამსახურის მოწყობა, ფეხბურთელებს არ უტარდებათ გაღრმავებული საექიმო შემოწმება და სამედიცინო მეთვალყურეობა დინამიკაში, ტორპედოელებს არა ყავთ ექიმი (?!). კარგი კვება თავისთავად ბევრს არ ნიშნავს — კვების რეჟიმი და საჭირო მენიუ ხომ აუცილებლად ექიმებმა უნდა შეადგინონ. ტრავმების შემთხვევაში არაერთი ქუთაისელი ფეხბურთელი ჩამოსულა თბილისში და აქ, ქალაქის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერში უმკურნალიათ. აღნიშნული დისპანსერის ძალებით ბოლო წლებში რამდენადმე შევძელით ტორპედოელ ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება, მაგრამ რეგულარულად ამის გაკეთება არ ხერხდება. ქუთაისში ეპიზოდური გასვლებიც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ნუთუ ქუთაისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერმა ვერ უნდა შეძლოს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდის სამედიცინო უზრუნველყოფა? ნუთუ ასე ძნელია შეირჩეს უმაღლესი ლიგის გუნდისთვის სათანადო კვალიფიკაციის ექიმი? დრო აღარ ითმენს, ახლა მაინც ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რათა დროულად შეუქმნან ტორპედოელებს საჭირო სამედიცინო მომსახურება. ეს აუცილებელი, გადაუდებელი საქმეა!

**ოთარ ვირუბოვი,**
**დოცენტი, საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.**

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXII ტურის შეხვედრები.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„ივერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იმედი“ (თბილისი) 1:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:4.

**დასავლეთი ჯგუფი**

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (გაგრა) 2:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0.

## მილუტინოვიჩი მექსიკაში რჩება

მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა მიიღო ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, 42 წლის იუგოსლავიელი სპეციალისტი ველიბორ (ბორა) მილუტინოვიჩი და მას საზეიმო ვითარებაში გადასცა მექსიკის ყველაზე საპატიო ჯილდო „აცტეკის არწივის ორდენი“. ამ ფაქტს დაუკავშირეს მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურების თხოვნა, მილუტინოვიჩს ახალი კონტრაქტისთვის მოეწერა ხელი.

მილუტინოვიჩმა, რომელიც ევროპაში დაბრუნებას აპირებდა, ყოყმანი შეწყვიტა. ახალი ოთხწლიანი ხელშეკრულება დადო მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ბოლომდე. ამასთან დაკავშირებით მწვრთნელმა, რომელიც მექსიკის ნაკრებს 1983 წლიდან ხელმძღვანელობს, განაცხადა, რომ მისი გუნდი 4 წლის შემდეგ იტალიაში კიდევ უფრო უკეთესად ითამაშებს ვიდრე ახლა თამაშობს.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

# გზა ოქროს მედლებისკენ

**საფეხბურთო** ოლიმპისაკენ მიმავალი გზა არგენტინელებმა შთამბეჭდავად განვლეს. არგენტინელთა შედეგი — ექვსი მოგება, ერთი ფრე, არც ერთი წაგება, ბურთების შეფარდება 14:5, გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვსა და პოლემიკას იმის თაობაზე, თუ რამდენად ღირსეულია ჩემპიონი.

მექსიკის მსოფლიო პირველობაში გაიმარჯვა გუნდმა, რომელიც საერთო წარმატებებით, მართალია, ჩამორჩება ბრაზილიას, იტალიას, დასავლეთ გერმანიას, მაგრამ არაერთხელ დუმტკიცებია მთელი მსოფლიოსათვის თავისი ძალა. მაშ, გადავხედოთ იმ გზას, რომელიც არგენტინულმა ფეხბურთმა განვლო...

შემოგთავაზებთ ასეთ შემადგენლობას: ფილოლი, კამინო, რუსო, ტროსერო, მარანგონი, დერტისია, პონსე, ბარბასი, ბერტონი, დიასი, გარეკა. ეს არის გუნდი, რომელიც მექსიკაში არ „დაიკარგებოდა“. არადა, ამ ძლიერი, გამოცდილი ფეხბურთელებიდან არც ერთი არ მოხვდა არგენტინის ახალ ნაკრებში. არგენტინელთა რეზერვი იმდენად მდიდარი აღმოჩნდა, რომ მათ მწვრთნელს შეეძლო უფლება მიეცა საკუთარი თავისთვის. შინ დაეტოვებინა ეს ცნობილი ოსტატები.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია 1893 წელს ჩამოყალიბდა. იგი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ამიტომ, ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ 1930 წელს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალში სწორედ არგენტინა გავიდა. მაშინ, მართალია, ურუგვაიმ გაიმარჯვა (4:2), მაგრამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი რამდენიმე არგენტინელმა ფეხბურთელმა, განსაკუთრებით კი — სტაბილემ და მონტიმ. ამ დროიდანვე დაიწყო არგენტინელთა „ექსპორტი“ ძველ კონტინენტზე. ამით უპირველესად ეროვნული ნაკრები ზარალდებოდა. მერე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონატებში ვერაფრით გამოიჩინა თავი, ხოლო გუნდებმა, რომლებშიც არგენტინელი ლეგიონერები თამაშობდნენ, დიდი წარმატებები მოიპოვეს. 1934 წელს იტალიელებს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მონტიმ და ორსიმ. შეუძლებელია, მადრიდის „რეალის“ წარმოდგენა დი სტეფანოს, რიალის ან დომინიგესის გარეშე. იტალიური კლუბების წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ანხელმა, გრილმა, მასკიამ, სივორიმ და სხვებმა.

სამოციან წლებში „ექსპორტის“ ეპიცენტრმა ბრაზილიაში, კოლუმბიასა და მექსიკაში გადაინაცვლა. პერფიუმო, მორსოლინი, არტიმე, ონეგა, რატინი, მასი — ეს მოთამაშეები ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან. მაგრამ ნაკრებმა ისევ კრახი განიცადა. ინგლისში, 1966 წლის ჩემპიონატზე, არგენტინელები მასპინძლებთან დამარცხდნენ, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ისინი ფინალური ტურნირის მიღმა დარჩნენ. ეს მაშინ, როცა სწორედ არგენტინული კლუბები აღწევდნენ შთამბეჭდავ გამარჯვებებს. „ინდეპენდიენტესა“ და „რესინგის“ შემდეგ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა ლა-პლატის „ესტუდიანტესმა“ (1968-1970 წლებში). ამ გუნდის თამაში სამხრეთამერიკული სიმსუბუქისა და და ევროპული პრაქტიციზმის ნაერთს წარმოადგენდა. გუნდს წვრთნიდა ოსკარ სუბელდია, მისი ბურჯები იყვნენ ბილარდო, პაჩამე და მადერო.

1974 წელს არგენტინამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩაიყვანა სრულიად ახალი გუნდი, რომელმაც ნაწილობრივ აღიდგინა შელახული რეპუტაცია. იმ ნაკრებში გამოირჩეოდნენ აიალა, ერედია, იასალდე, ბრინდისი, ჰაუსმანი, ფილოლი, კემპესი... ახალი სახელები, ახალი ვარსკვლავები!..

როცა ცნობილი გახდა, რომ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატს არგენტინა უმასპინძლებდა, გულშემატკივრებმა ნაკრებს ერთადერთი მიზანი — ჩემპიონობა დაუსახეს. უფროს მწვრთნელად დაინიშნა იმხანად ნაკლებად ცნობილი სპეციალისტი ლუის სესარ მენოტი. გუნდი ემზადებოდა ისე, როგორც არასდროს. ამან შედეგი გამოიღო. არგენტინა ჩემპიონი გახდა! ის დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მაშინდელი შემადგენლობა გულშემატკივრებს დღესაც ზეპირად ახსოვთ: ფილოლი, ოლგინი, გალვანი, პასარელა, ტარანტინი, გალიეგო, არდილესი, ვალენსია (ვილა), ბერტონი, ლუკე (ორტისი), კემპესი (ჰაუსმანი)...

ოთხი წლის შემდეგ, ესპანეთში, არგენტინამ თავისი ტიტული ვერ შეინარჩუნა. მას ვერც ახალმა ვარსკვლავმა მარადონამ უშველა. მეოთხედფინალში მენოტის გუნდი დამარცხდა იტალიელებთან (1:2) და ბრაზილიელებთან (1:3).

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა კარლოს ბილარდო, ორმოცი წლისა, ექიმი. თავიდან იგი კოლუმბიის გუნდს „დეპორტოვო კალის“ და კოლუმბიის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ლა-პლატის გუნდს და იგი არგენტინის ჩემპიონი გახდა. ნაკრებში თავის თანაშემწედ მან კარლოს პაჩამე მიიწვია, ხოლო გუნდის ექიმის პოსტი პაულ მადეროს მიანდო. თავის დროზე ბილარდო მათთან ერთად იცავდა „ესტუდიანტესის“ ღირსებას. ისევ შეიქმნა სრულიად ახალი გუნდი. ევროპის ტურნეს მატჩებში მან დაამარცხა შვეიცარია (2:0), ბელგია (2:0), გფრ (3:1). თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა — ისლასმა, რუჯერიმ, ბურუჩაგამ, პონსემ, რინალდიმ. თუმცა მალე წარმატებები დამარცხებებმა შეცვალა. შესარჩევმა ტურნირმა ბილარდო კინაღამ შეიწირა. პერუს ნაკრებთან უკანასკნელ მატჩში არგენტინის გუნდს ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე წინ პერუელები იყვნენ — 2:1. ყველაფერი გადაწყვიტა პასარელას უბრწყინვალესმა სოლო გარღვევამ — 2:2.

გუნდი ისევ გადახალისდა. ნაკრებში, შეიძლება ითქვას, ბოლო წუთს მოხვდნენ ბატისტა, ბორგი, კუსიუფო, ენრიკე. ისრაელის ნაკრებთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ (7:2) დაიწყო გუნდის აღმავლობა. არგენტინა მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ეროვნულ გმირებად გამოაცხადეს კარლოს ბილარდო და დიეგო მარადონა. არგენტინაში ისევ ზეიმია. სადღაც, ატლანტის ოკეანის ნაპირებზე, ქვიშაში მოთამაშე ბიჭუნებში კი იზრდებიან ახალი არგენტინელი ვარსკვლავები, რომლებიც როდისმე ალბათ ოქროს მედლებისაკენ მიმავალ გზას დაადგებიან.

**ჩეხურიდან თარგმნა**
**დავით დემეტრაშვილმა.**

### კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

# დაუმარცხებლად იბრძვის სამი გუნდი

**გუშინ** კალათბურთელ ქალთა X მსოფლიო ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო. სამი ტურის შემდეგ ორივე ჯგუფში გამოიკვეთენ ლიდერები. ვილნიუსში დაუმარცხებლად ასპარეზობს აშშ-ს ნაკრები, რომელმაც უკვე სამი გამარჯვება მოიპოვა: დაამარცხა ტაივანის (105:52), ჩეხოსლოვაკიისა (89:61) და უნგრეთის (78:63) გუნდები.

მინსკის ჯგუფში წაუგებლად იბრძვიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, რომლებმაც მოუგეს ბრაზილიას (103:95), კუბას (86:82) და ბულგარეთს (94:66).

სხვა მატჩები დამთავრდა ასე: ვილნიუსის ჯგუფი. უნგრეთი — ავსტრალია 79:77, ჩეხოსლოვაკია — ჩინეთი 80:74, უნგრეთი — ტაივანი 77:57, ჩინეთი — ავსტრალია 77:57, ჩეხოსლოვაკია — ავსტრალია 55:50.

მინსკის ჯგუფი. კანადა — ბულგარეთი 67:63, კუბა — სამხრეთ კორეა 83:57, ბულგარეთი — ბრაზილია 82:72, კანადა — სამხრეთ კორეა 55:49, კანადა — კუბა 63:62, სამხრეთ კორეა — ბრაზილია 71:69.

**გათამაშების ცხრილები**

**ვილნიუსის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 1 | 5 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 3 | 3 |
| ტაივანი | 2 | 0 | 2 | 2 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის ჩინეთისა და ტაივანის კალათბურთელთა მატჩის შედეგი, რომელიც 10 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო.

**მინსკის ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 6 |
| კანადა | 3 | 3 | 0 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| კუბა | 3 | 1 | 2 | 4 |
| სამხრეთ კორეა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ბრაზილია | 3 | 0 | 3 | 3 |

### ველოსპორტი

**სან-ფრანცისკო.** მრავალდღიანი ველორბოლის „კურზ კლასიკის" ტრასა ტრადიციულად, სამი შტატის (კალიფორნია, ნევადა, კოლორადო) ტერიტორიაზე გადის და საკმაოდ რთული პროფილით გამოირჩევა. საერთო სიგრძე 1700 კილომეტრს შეადგენს. ასპარეზობაში ამჯერად საბჭოთა ველოსიპედისტებიც მონაწილეობენ.

შეჯიბრება დაიწყო პროლოგით. ველოსიპედისტებმა სან-ფრანცისკოს ქუჩებში დიდი სისწრაფე განავითარეს. პირველი ადგილი აშშ-ს გუნდის წევრმა რონ კეიფელმა დაისაკუთრა — 3.12,0. რიგელი პიოტრ უგრიუმოვი ფინიშთან მეორე მიიჭრა.

ველორბოლა დამთავრდება კოლორადოში, 24 აგვისტოს.

# მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

**მადრიდი, 13-23 აგვისტო**

საერთაშორისო სპორტული წრეების დიდ ყურადღებას იპყრობს მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში, რომელიც 13-23 აგვისტოს გაიმართება ესპანეთის დედაქალაქში. ჩემპიონატის პროგრამაშია ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი და სინქრონული ცურვა.

მსოფლიო ჩემპიონატში დიდ ინტერესს იწვევს ცურვა ახალ დისტანციაზე — 50 მეტრზე ნებისმი-



ერი სტილით, სულ კი მოცურავეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან პროგრამის 32 სახეობაში.

როგორც სპეციალისტებივარაუდობენ, მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატზე უმაღლესი ჯილდოებისთვის ბრძოლა ძირითადად გაიმართება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა შორის. წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლების უმეტესობა გდრ-ის მოცურავე ქალებმა მოიპოვეს, 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში პირველი იყო საბჭოთა მოცურავე სვეტლანა ვარგანოვა, მაგრამ ბოლო ხანებში შესამჩნევად დაწინაურდნენ ამერიკელი და ავსტრალიელი მოცურავე ქალები. საბჭოთა მოცურავეთა გუნდი, განსაკუთრებით ქალები, მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩემპიონატის ყველა დისტანციაზე, მაგრამ წარმატების იმედი აქაც გვაქვს. კარგი შედეგი შეიძლება აჩვენოს 200 მეტრზე თა-



ვისუფალი სტილით ცურვაში ე. ვოლკოვამ, აგრეთვე, ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ე. დენდებეროვამ.

რაც შეეხება ვაჟებს, აქ ჩვენი პოზიციები გაცილებით უფრო მყარია, თუმცა, ამერიკის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების გუნდებს ძალზე ძლიერი მოცურავეები ჰყავთ.

საყოველთაო ინტერესს იწვევს პლანეტის ყველაზე უფრო სწრაფი მოცურავის, 50 და 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდესმენის მეტ ბიონდის (აშშ) გამოსვლა. ასევე დიდ წარმატებებს მოელიან მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონისა და რეკორდსმენის მ. გროსის (გფრ) მხრივ.

მეტად საინტერესო იქნება მსოფლიო რეკორდსმენისა და ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ სალნიკოვის (სსრ კავშირი) გამოსვლა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან სხვა ძლიერი მოცურავეებიც: ი. პოლიანსკი, ს. ზაბოლოტნოვი, ვ. იაროშჩუკი, დ. ვოლკოვი და სხვანი. ამ მოცურავეებს ბოლო ხანებში მეტად მაღალი და სტაბილური შედეგები აქვთ.

მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატზე წყალბურთში 16 გუნდი გამოვა. ისინი დაყოფილი არიან 4 წინასწარ ქვეჯგუფად. საბჭოთა წყალბურთელებთან ერთად „დ" ქვეჯგუფში იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიისა და საბერძნეთის გუნდები. ჩვენი პირველი მეტოქეა ბრაზილი-



ის ნაკრები, რომელსაც 14 აგვისტოს ვეთამაშებით, 15 აგვისტოს შევხვდებით საბერძნეთის გუნდს, ხოლო 16 აგვისტოს — ამერიკელებს.

საინტერესოა, რომ ვაჟთა გუნდების პარალელურად მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის წყალბურთში ქალთა ნაკრები გუნდებიც იბრძოლებენ. მადრიდში ასპარეზზე ქალთა 10 გუნდი გამოვა.

ცურვისა და წყალბურთის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატები გაიმართება წყალში ხტომაში, სინქრონულ ცურვაში.

ერთი სიტყვით, მადრიდის აუზებში მეტად საინტერესო შეჯიბრებები ჩატარდება, ცენტრალური ტელევიზია გადასცემს ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვან მოვლენებს.

# მაინც დაითვალეს

**კეთილი** ნების თამაშებში არც გუნდური შედეგები ჯამდებოდა და არც მედლები აღირიცხებოდა, მაგრამ დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ და მათ შორის აშშ-მა ასეთი ოპერაცია მაინც ჩაატარა. აი, როგორ გამოიყურება უძლიერესთა ათეული მოპოვებული მედლების მიხედვით.

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 118 | 82 | 44 | 244 |
| აშშ | 42 | 47 | 51 | 140 |
| ბულგარეთი | 4 | 7 | 20 | 31 |
| გდრ | 7 | 11 | 10 | 28 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 6 | 18 |
| პოლონეთი | 2 | 2 | 7 | 11 |
| ჩეხოსლოვაკია | — | 8 | 2 | 10 |
| ჩინეთი | — | 4 | 5 | 9 |
| უნგრეთი | 1 | — | 5 | 6 |
| კსდრ | 1 | — | 5 | 6 |

სხვადასხვა ხარისხის მედალი სულ 32 ქვეყნის სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული.

კეთილი ნების თამაშების დიდ ავტორიტეტზე, ამერიკელი მძლეოსნის ვილი ბენკსის აზრით, მეტყველებს ისიც, რომ შეჯიბრებებში ექვსი მსოფლიოს, რვა სხვადასხვა კონტინენტისა და 90-ზე მეტი ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა.

### კალეიდოსკოპი

#### პირველი ამერიკელი

**გრეგ ლემონი** პირველი ამერიკელი ველოსიპედისტია, რომელმაც „ტურ დე ფრანსი" მოიგო. იგი წლეულს მესამედ გამოვიდა პროფესიონალთა ამ შეჯიბრებაში, რომელსაც სხვანაირად მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ მრავალდღიან საგზატკეცილო რბოლაში.

„ტურ დე ფრანსის" 73-ე გათამაშებაში სხვადასხვა ქვეყნის 210 პროფესიონალი ველოსიპედისტი მონაწილეობდა, მაგრამ უდავო ფავორიტად, ცხადია, ამ რბოლის ხუთგზის ჩემპიონი ფრანგი ბერნარ ინო ითვლებოდა. გრეგ ლემონი მთელი შეჯიბრების მანძილზე სწორედ მას დარაჯობდა და ბოლოს საწადელსაც მიაღწია. პარიზის გარეუბან ნანტერში აღებული სტარტის შემდეგ ამერიკელი ველოსიპედისტი მთელი 4100 კილომეტრის მანძილზე ლიდერთა შორის იყო და ელისეს მინდვრებზე ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

#### დიმიტროვგრადი-86

**ბულგარეთის** ქალაქ დიმიტროვგრადში დამთავრდა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის. ტურნირში, რომელიც გენერალური რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, 8 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ჯგუფში მოხვდნენ სსრკ-ის, საბერძნეთის, ბულგარეთის და იტალიის გუნდები; მეორე ჯგუფში — იუგოსლავიის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის № 2 გუნდები. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა (საბერძნეთის გუნდი ანგარიშით — 82:60, იტალიისა — 92:53, ბულგარეთისა — 82:40). მეორე იყო საბერძნეთის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში იტალიის გუნდს სძლია (76:70). მეორე ჯგუფში პირველი ადგილი იუგოსლავიის ნაკრებმა დაიკავა, მეორე ადგილზე გფრ-ის ნაკრები გავიდა.

გადამწყვეტ ეტაპზე საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები — 72:55, ხოლო იუგოსლავიელებმა ყველასათვის მოულოდნელად წააგეს ბერძნებთან — 61:63. (გადამწყვეტი ეტაპის მატჩები წრიული სისტემით ჩატარდა). პირველი ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა და იუგოსლავიელი კალათბურთელები. პირველი ტაიმი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 48:47, მაგრამ მეორე ტაიმში უპირატესობას დაეუფლნენ იუგოსლავიელები, საბოლოოდ მათ დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვეს — 94:77. გამარჯვებულთა გუნდში საუკეთესო იყო პეჩარსკი (25 ქულა). მესამე ადგილი დაიკავა გფრ-ის ნაკრებმა რომელმაც ანგარიშით 80:70 დაამარცხა საბერძნეთის ნაკრები.

#### ალორძინება დაიწყო

**იყო დრო,** როცა ირანელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს მსოფლიოში არ ჰყავდათ ბადალი. მაგრამ მერე და მერე ამ ქვეყნის ათლეტებმა პოზიციები დათმეს და საერთაშორისო სარბიელზე ავტორიტეტიც დაკარგეს. ახლა უცხოეთის მიმომხილველთა აზრით, ირანელი მოჭიდავეები ნელ-ნელა იბრუნებენ ძველ დიდებას.

დიახ, 25 წლის იური ბარი შინ უკვე სახელოვანი ფალავნის გ. ტახტის მემკვიდრედ მიაჩნიათ. მან ერთ-ერთ შეჯიბრებაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პარტმუტ რაიჰთან (გდრ) გამარჯვების შემდეგ გაითქვა სახელი.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 12 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მხიარული სტარტები— **17.30 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში **20.00 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა კალათბურთში: სსრ კავშირი — კანადა — **20.20 (2)**; უნგრეთი — ჩინეთი — **23.50 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 12 აგვისტო.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00.**

**საქართველოს რადიო. 12 აგვისტო.** რიტმული ვარჯიში—**11.40.**

# ალექსანდრე ელიავა



ქართული ფეხბურთის ვეტერ[ა]ნთა რიგებს გამოაკლდა კიდ[ევ] ერთი ძველი, ღვაწლმოსილი მ[ო]თამაშე ალექსანდრე (საშა) კა[პი]ტონის ძე ელიავა.

ა. ელიავა ერთ-ერთი პირვე[ლ]თაგანი იყო, ვინც თბილისის „დ[ი]ნამოში" თამაშობდა, როცა [ეს] გუნდი 1936 წელს საკავშირო ა[ს]პარეზზე გამოვიდა. მის სახელ[თან] დაკავშირებულია ფეხბურთის გ[ა]ნვითარება ფოთში, ბათუმში, ი[ს] იყო ფეხბურთის დაუღალავი ქ[ო]მაგი, აღმზრდელი, ხელექციონ[ე]რი, რომელმაც არაერთ ახალგა[ზ]რდას დაულოცა გზა დიდ სპ[ო]რტში.

ა. ელიავა 1911 წელს დაიბა[და] ფოთში, იქვე დაიწყო თამაში, გა[მო]დიოდა ადგილობრივ ნაკრ[ებ] გუნდში, შემდგომში იგი საცხო[ვ]რებლად გადავიდა თბილისში, ს[ა]დაც სწავლობდა სახელმწიფო უნ[ი]ვერსიტეტში, ამავე დრო[ს] წვრთნიდა ფეხბურთელთა გუნდ[ს]. 1937 წელს ა. ელიავა სამუშაო[დ] და საცხოვრებლად გადავიდა ბ[ა]თუმში, სადაც ბევრი რამ გააკე[თა] ფეხბურთის განვითარებისთვის. ელიავა 1946 წლიდან საბჭოთა კ[ა]ვშირის კომუნისტური პარტი[ის] წევრი იყო, ყველგან, სადაც მუშაობდა, გამოირჩეოდა საქმ[ი]სადმი კეთილსინდისიერი, ერთგ[უ]ლი დამოკიდებულებით, მას მუდ[ამ] ნახავდით ახალგაზრდებთან, ნორ[ჩ] ფეხბურთელებთან, რომლებს[აც] მზრუნველად ეკიდებოდა, მათ[ში] საიმედო პერსპექტიულ მოთამა[]შეებს არჩევდა.

საყოველთაო სიყვარულით ს[ა]რგებლობდა საშა ელიავა ნაცნო[ბ]მეგობართა წრეში: დაუღალავ[ი], ხალისიანი, ენერგიული, ხალას[ი] იუმორით აღსავსე ადამიანი მუდ[ამ] ყურადღების ცენტრში იყო, მუ[]დამ იზიდავდა ადამიანებს, სიცო[ო]ცხლის ბოლო დღეებამდე ფეხბუ[]რთით ცხოვრობდა.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთ[ი] ძველი ფეხბურთელი, მისი კეთი[]ლი ხსოვნა მუდამ დარჩება რე[]სპუბლიკის საფეხბურთო ს[a]ზოგადოებრიობაში.

**საქართველოს სსრ ფიზი[]კური კულტურისა და სპო[]რტის სახელმწიფო კომი[]ტეტი, ფეხბურთის რესპუ[ბ]ლიკური ფედერაცია, სპო[]რტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს საბჭო, ვე[]ტერანი ფეხბურთელები.**

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმარ[თა] „სპორტლოტოს" მორიგი, 32-ე ტ[ი]რაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** 2 (ბ[]ატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდა[ო]ბა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 1[] (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი[]), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** [] (კრივი), 17 (საციგურაო სპორტ[ი]), 20 (აფროსნობა), 28 (ტყვიის სრ[ო]ლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 0761